# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№31 (9.840)

18—25 აგვისტო 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## წყალმომარაგების გაუმჯობესებაზე პარლამენტში იმსჯელეს

გვ.5





## „როველი – 2018“ იწყება



გვ.3

## ცხოვრებამ ბევრი სიხარული მაჩუქა, მაგრამ სიბერე გამიმწარა



გვ.2

## „...თხემით ტერფამდე მტკივა ჩემი ქვეყნის დამწვარი მაჯა!“



გვ.4

## ბოლო 5 წლის ყველაზე გრილი აგვისტო — რა იწვევს ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას და როდის იყო ყველაზე ცივი ზაფხული?




გვ - 6

აგვისტოს ყველაზე დაბალი ტემპერატურა თბილისში 2018 წელს

## სანდოა თუ არა წყალი?



გვ.5

## „ჯპს“ და „ფარმადეპო“ – სააფთიაქო ქსელები, სადაც ანტიდიაბეტურ მედიკამენტებს უფასოდ მიიღებთ



გვ.7

C M Y K

# ცხოვრებამ ბევრი სიხარული მაჩუქა, მაგრამ სიბერე გამიმწარა

1928 წლის 21 აგვისტოს დიმიტრი პოპიაშვილს და მარიამ ნატროშვილს ვაჟის -სტეფანეს შემდეგ ქალიშვილი შეეძინათ. მაყვალა დაარქვეს და, მართლაც, მაყვლის კუნწულასავით გოგო დადგა. მშრომელ და პატიოსან ოჯახში ზნეკეთილი და ბეჯითი ქალიშვილი გაიზარდა. ქალაქ წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა.



– როცა სკოლას ვამთავრებდი, იმ პედაგოგებს, რომლებსაც სასწავლებელი არ დაუმთავრებიათ ბოლომდე და დიპლომი არ ჰქონდათ, სწავლების უფლება ჰქონდათ, მაგრამ გამოცდების მიღებისა – არა. ამიტომ, თბილისიდან გამოსაშვები გამოცდების ჩასატარებლად უცხო ხალხი ჩამოიყვანეს. 26 მოსწავლიდან 12 დავამთავრეთ, ბავშვები დაიბნენ. ეს, მეთოდურად, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო, - იხსენებს ქალბატონი მაყვალა. მერე იყო წარმატებული სტუდენტის საინტერესო და ლაღი ცხოვრება თბილისის ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო- გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

– ფსიქოლოგიას თვით სასწავლო წიგნის ავტორი, პროფესორი ნათაძე გვიკითხავდა. ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო, შიშით შედიოდნენ სტუდენტები მის გამოცდაზე და როდესაც გამოცდიდან გამოსულმა ვთქვი, ფრიადი მივიღე მეთქი, ამხანაგებმა სტუდბილეთი გამომგლიჯეს, დერეფანში დაარბენინებდნენ და იძახოდნენ: – აი, იმ პატარა გოგომ ნათაძესთან ხუთი მიიღოო. მე მეამაყება, რომ ჩემი სიბეჯითით და მონდომებით კვალიფიციური ცოდნა მივიღე, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მიადვილებდა მუშაობას, – ამბობს ქალბატონი მაყვალა.

სამსახური კი, ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე, ბევრჯერ გამოიცვალა. მისი შრომითი ნათლობა წითელწყაროს მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში დაიწყო. სწავლა საღამოს საათებში მიმდინარეობდა, რადგან ეს მოსწავლეები დღისით მუშაობდნენ და ასაკითაც უფროსები იყვნენ.

– უმრავლესობა ვაჟებისა თავზე დამყურებდნენ. ბევრ მასწავლებელს დისციპლინის დამყარება უჭირდა, მაგრამ მე – არა. ორმოცდახუთ წუთს მაქსიმალურად ვიყენებდი. ვიცოდი, სახლში მეცადინეობის დრო არ ჰქონდათ და გაკვეთილზევე ვასწავლიდი ახალ მასალას. ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მომცა ამ სამსახურმაო, – ამბობს.

სკოლებში აქტიური კომკავშირული მუშაობა მიმდინარეობდა და მაყვალას ცხოვრების მომავალიც კომკავშირმა განსაზღვრა. კომკავშირის წითელწყაროს რაიკომის მდივანს გიორგი გველუკაშვილს თვალში მოუვიდა ახალბედა, კოხტა მასწავლებელი და ... საქმე ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. მაყვალა სოფელ ჯაფარიძის სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად გადაიყვანეს. მალე პირველი შვილი – ნუგზარი დაიბადა. ორი წლისაც არ იყო, გოგი მაღაროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გადაიყვანეს და ზონის რაიკომის მდივნად აირჩიეს. ოჯახიც მაღაროში გადასახლდა.

– ახლა ნებისმიერ ოჯახს უფლება აქვს, ძიძა და ოჯახის დამხმარე იყოლიოს. მაშინ ეს დაუშვებელი იყო.მაღაროს სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ დამნიშნეს და გეოგრაფიის გაკვეთილებიც მომცეს. ბავშვის შემნახავი არავინ მყავდა. საბედნიეროდ, სოფელში ერთი ბაგა ბაღის შერეული ჯგუფი გაიხსნა და ნუგზარი ბაგაში მივიყვანე. ეს ძალიან რთული გონებრივი და ფიზიკური დატვირთვის წლები იყო ჩემთვის. ორცვლიანი სწავლების გამო დილიდან საღამომდე სამსახურში ვიყავ. ბავშვი რომ დაიძინებდა, ყველაფერს მაშინ ვაკეთებდი. სასწაული წესი იყო, რაიკომის მდივანს აუცილებლად თეთრი კიტელი უნდა სცმოდა,ჰოდა, ყოველდღე მიწევდა რეცხვა და უთო სხვა საოჯახო საქმეებთან ერთად. რამოდენიმე წელი მაღაროში გავატარეთ, მერე გოგი ისევ წითელწყაროში გადმოიყვანეს სამუშაოდ და ჩვენც საბოლოოდ აქ დავფუძნდით. ქალაქის №1 საბავშვო ბაღში აღმზრდელად დავიწყე მუშაობა. მანია კვაჭანტირაძე იყო გამგე. მკაცრი, მომთხოვნი ქალი იყო. ბევრი რამ ვისწავლე მისგან. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში პედაგოგიური გამოცდილება უკვე მქონდა მიღებული, ახალ გარემოში ჩემს თავზე მაინც ბევრს ვმუშაობდი. არც ვფიქრობდი სადმე გადასვლას, მაგრამ სკოლა-ინტერნატი რომ გაიხსნა, იქ გადამიყვანეს სასწავლო ნაწილის გამგედ საწარმოო სწავლების დარგში. ერთი სიტყვით, განათლების სისტემაში სფერო არ დარჩა,რომ არ მემუშავა. დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება დავაგროვე. შემდეგ №2 ბაგა-ბაღისთვის ახალი კომპლექსი აშენდა ბარათაშვილის ქუჩაზე. ახლა იქ ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაა განთავსებული. კომპლექსი 3 ორსართულიანი შენობისგან შედგებოდა: ცალკე იყო სამეცადინო კორპუსი, ცალკე – სასადილო და საძინებელი. ისინი ერთმანეთს ღია კორიდორებით უკავშირდებოდა. გამგედ დამნიშნეს. ყველას ჩვენს ბაღში უნდოდა ბავშვის მოყვანა, დატვირთული იყო ყველა საწოლი. დიდი და შეკრული კოლექტივი გვქონდა. ერთმანეთის ხათრი, პატივისცემა და გაგება შეგვეძლო. ძალიან თბილად მახსენდება ის წლები. როცა განათლების განყოფილებაში სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტი გაიხსნა და საბავშვო ბაღებს მეთოდისტები დაუნიშნეს, მეთოდ-კაბინეტის გამგედ გადამიყვანეს და ამ სამსახურში დასრულდა ჩემი შრომითი ბიოგრაფიაც. წლების განმავლობაში ქალაქისა და სოფლების საბავშვო ბაღებს ვხელმძღვანელობდი. თავის ქებად ნუ ჩამითვლით და ამდენი წლის შრომითი საქმიანობის განმავლობაში არ მახსოვს,კონფლიქტი მქონოდა ან ზემდგომთან, ან – ქვემდგომთან. ღია გაკვეთილებს რომ დავესწრებოდი, შემდეგ ყველა ნიუანსს დაწვრილებით განვიხილავდი, არ დავზოგავდი, ყველა შენიშვნას ვეტყოდი და ავუხსნიდი, როგორ უნდა გამოესწორებინა, ოფიციალურ დოკუმენტში კი ერთიორ მსუბუქ შენიშვნას ჩავწერდი. ასე უფრო კარგ შედეგს ვაღწევდი. მადლობელი ვარ ღმერთის, რომ მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათი დამანათლა. ცხოვრებაში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სიფიცხით და ჩხუბით საქმე არ კეთდება. ამას ვურჩევ დღეს ადამიანებს,– გვესაუბრება ქალბატონი მაყვალა და მისი სიტყვების დასადასტურებლად გთავაზობთ მისი ყოფილი თანამშრომლების მოგონებებს:

ლიანა გურგენიძე – **ქალაქის №2 ბაგა-ბაღის ყოფილი აღმზრდელი,** – პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1966 წელს, მუშაობა დავიწყე ქ. წითელწყაროს №2 ბაგა-ბაღში აღმზრდელად. მისი გამგე გახლდათ ქალბატონი მაყვალა პოპიაშვილი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ბაგა-ბაღების აღმზრდელებს დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული სწორად წარემართათ ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმე. ქალბატონი მაყვალა ძალიან განათლებული პიროვნება გახლდათ. ის ცდილობდა, ჩვენთვის გამოემუშავებინა შემოქმედებითი უნარ-ჩვევები. ვატარებდით უამრავ ღონისძიებას, ურთიერთობა გვქონდა სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგებთან. ამიტომაც, მისი მუშაობის პერიოდში ჩვენი ბაგა-ბაღი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მეცადინეობებზე დასწრების დროს დაუმსახურებლად არ მოგვცემდა შენიშვნებს. თან ისე ტაქტიანად მიგვითითებდა, შეურაცხყოფილნი რომ არ დავრჩენილიყავით, ამიტომ ვცდილობდით, ის შეცდომები აღარ გაგვემეორებინა. თითქმის სამი ათეული წელი მქონდა ურთიერთობა მასთან და ეს წლები იყო ჩემთვის აქტიური და ხალისიანი. ქალბატონი მაყვალა იყო ჩვენი თანამშრომლების ჭირისა თუ სიხარულის გამზიარებელი, საუკეთესო ადამიანი და მეგობარი. მე მინდა, დიდი სიყვარულით მივულოცო საიუბილეო წელი და ვუსურვო ჯანმრთელად ცხოვრება.

ნათელა თამაზაშვილი, – **№5 ბაგა-ბაღის მეთოდისტი,** – ჩემი შეხვედრა ქალბატონ მაყვალა პოპიაშვილთან შედგა სასწავლებლის დამთავრებისთანავე, როცა №2 ბაგა-ბაღში მან აღმზრდელად მიმიღო.

ჩემი მუშობის გარიჟრაჟზე შევხვდი პიროვნებას, რომელმაც შემაყვარა ჩემი პროფესია, მისგან ვისწავლე სიყვარული ბავშვებთან ურთიერთობაში, მასწავლა შრომისმოყვარეობა და ის ცოდნა, რაც სასწავლებელში მივიღე, პრაქტიკულად როგორ გამომეყენებინა. ქალბატონ მაყვალას ხელმძღვანელობით ვახდენდით რაიონის საბავშვო ბაღში ინსპექტირებას და აღმზრდელებისთვის მეთოდური დახმარების გაწევას. მაყვალა მასწავლებელმა საფუძველი ჩაუყარა სკოლამდელი აღზრდის სისტემას წითელწყაროს რაიონში და ეს პროფესიული გუნდი ყოველთვის მხარში ედგა მას. მან №2 ბაგა-ბაღი აქცია კადრების სამჭედლოდ. ამ ბაგა-ბაღიდან დაწინაურდა ძალიან ბევრი აღმზრდელი. მე სწორედ მისი უშუალო რეკომენდაციით მაშინდელმა განათლების განყოფილებამ დამნიშნა მეთოდისტად №5 ბაგა-ბაღში, რაც მაშინ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა იყო და აგერ 40 ათეული წელია, ვემსახურები მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს.



მაყვალას ვულოცავ იუბილეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ნანა შანშიაშვილი – **განათლების განყოფილების ყოფილი მეთოდისტი**. ქალბატონ მაყვალას 70-იანი წლებიდან ვიცნობ, როდესაც მე ქალაქის №1 საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა, ს კი №2 საბავშვო ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობდა. გაცნობისთანავე ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა ინტელექტმა, თავის საქმის უბადლო მცოდნემ და შემსრულებელმა. რაიონის ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი ნიჭი და შესაძლებლობა და განათლების განყოფილებაში სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტის გამგედ გადაიყვანეს. აქ კი ქალბატონმა მაყვალამ ცოდნა, ძალა და ენერგია არ დაზოგა იმისათვის, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სიახლეები დაენერგა. აღმზრდელებს, იქამდეც, პერიოდულად, აგზავნიდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ქ. თელავში. მან კი, განათლების განყოფილების ხელმძღვანელობასთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და ჩვენს რაიონში მოიწვიეს წამყვანი სპეციალისტები თბილისის დახელოვნების ინსტიტუტიდან, სადაც ერთდროულად მოხდა აღმზრდელების გადამზადება. ბაგა-ბაღის გამგეების, აღმზრდელების და მუსიკის მასწავლებლების მეთოდ-გაერთიანებებს უძღვებოდნენ გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. პერიოდულად ატარებდნენ ღია მეცადინეობებს და ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებებს, რითაც დახმარების ხელს უწვდიდნენ დამწყებ პედაგოგებს. ქალბატონი მაყვალა ვერ ეგუებოდა, რომ რომელიმე მეცადინეობა საჭირო დონეზე არ ჩატარებულიყო, ამიტომ თვითონაც თავდაუზოგავად შრომობდა აღმზრდელთან ერთად და სასურველ შედეგს მუდამ აღწევდა. ქალბატონი მაყვალა საუკეთესო დედა და ბებიაა, ამავე დროს საუკეთესო პედაგოგი, მეგობარი, და თანამშრომელი იყო, ძალიან გვიყვარდა და ვაფასებდით მის პროფესიონალიზმს. სულითა და გულით ვულოცავ მას საიუბილეო წელს, ვუსურვებ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ნანა სეხნიაშვილი, **ქ. დედოფლისწყაროს №3 ბაგა-ბაღის პედაგოგი,** – მაყვალა პოპიაშვილი, ჩემი უსაყვარლესი პიროვნება, უკეთ გავიცანი ჩემი ბაღში მუშაობის დაწყების დროს. მაშინ იგი იყო განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის საუკეთესო მეთოდისტი. მისი პროფესიული საუბრები, მეთოდური მიდგომა თვითოეულ აღმზრდელთან, ყოველთვის ნაყოფიერ შედეგს იძლეოდა. მე, პირადად, უდიდესი მადლიერი ვარ მისი დიდი გამოცდილების, რამაც ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა.ჩვენ, №3 ბაღის აღმზრდელები, ყოველთვის ვგრძნობდით დიდ პასუხისმგებლობას ჩვენი სააღმზრდელო საქმისადმი, მასთან ერთად სულ სიახლის ძებნაში ვიყავით. როდესაც მე მივედი №3 ბაგა-ბაღში, ეს იყო 1981 წელი, (გამგე -მარიკა ნანობაშვილი), მაშინ ჩვენი ბაგა-ბაღი იყო რაიონში ერთ-ერთი საჩვენებელი, სადაც ხშირად გვსტუმრობდა ქალბატონი მაყვალა მასწავლებელი, გვიწევდა მეთოდურ დახმარებას, მას ჰქონდა უამრავი მეთოდური სახელმძღვანელო, რითაც ჩვენ ვმუშაობდით. ტარდებოდა ღია აქტივობები თითქმის ყველა დისციპლინაში, სადაც ესწრებოდნენ ბაღის გამგეები, აღმზრდელები, ფსიქოლოგები. რამოდენმე წლის წინ ჩემს სააღმზრდელო ჯგუფში დადიოდნენ მისი შვილიშვილებიგიორგი და ნიკოლოზ გველიკაშვილები, და ყოველთვის ხალისიანად ესწრებოდა ჩვენს ზეიმებს, გამოშვებას. იგი უდიდეს სიხარულს განიცდიდა. მან გადმომცა უამრავი თვალსაჩინო მასალა, რომელსაც დღეს საუკეთესოდ ვიყენებ და რომელიც ასეთი უნიკალურია ჩვენს საქმიანობაში. მადლობა მას ამისთვის, კიდევ იმისთვის რომ იგი იყო და არის ჩემთვის მაგალითი, როგორც ადამიანი. ყოველთვის გამოირჩეოდა სიკეთით, სათნოებით.უამრავი რამის თქმა შეიძლება მასზე, როგორც გამოცდილ პედაგოგზე და მეთოდისტზე. ბოლოს, მსურს მივულოცო დაბადების დღე.- გილოცავთ, ჩემო საყვარელო, თბილო და ტკბილო მაყვალა დეიდა, დაბადების 90 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს თქვენს საყვარელ შვილთან, რძლებთან და შვილიშვილებთან ერთად. მიყვარხართ ძალიან.

* * *

პირადი ცხოვრებაც საინტერესო ჰქონდა. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული, კარგი ორატორი, მუსიკალური და წიგნიერი კაცი იყო მისი მეუღლე გოგი გველუკაშვილი, ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება რაიონში. სადაც დასჭირდებოდათ,იმ სამსახურის უფროსად დანიშნავდნენ-ხოლმე როგორც კარგ ორგანიზატორსა და პარტიულ ფუნქციონერს.

– ჩვენს ოჯახში სულ ფუსფუსი იყო, სულ სტუმარი გვყავდა ჯერ გოგის თანამდებობის და მერე შვილების– ნუგზარის და გელას სტუმართმოყვარეობის გამო. სულ სიმღერის ხმა გამოდიოდა ჩვენი ოჯახიდან, მაგრამ სიბერე გამიმწარდა. ჯერ მეუღლე გარდამეცვალა, შემდეგ კი, მართლაც, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარგნას ჰგავდა ჩემი ნუგზარის მოულოდნელი სიკვდილი. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ჩვეულებრივად გავაცილე სახლიდან თბილისში, ცოლ-შვილთან მიმავალი და სახლამდე ვეღარ მიაღწია, გულმა უმტყუნა ქალაქის მისადგომებთან. შვილმკვდარი დედის სიცოცხლეს სიცოცხლე აღარ ჰქვია. მერე მისი შვილიშვილი ლუკა წავიდა ამქვეყნიდან და მე დავრჩი სევდის და ტკივილის მორევში ჩამხრჩვალი. არ უნდა არსებობდეს შვილის სიკვდილი და დედის დარჩენა, ეს გაუსაძლისია,– ცრემლს ვერ იკავებს ქალბატონი მაყვალა.

... მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება. ეზოს აყრუებს გელას შვილების – პატარა გიორგის და ნიკოლოზის ჟრიამული, ბებიას ხშირად სტუმრობს ნუგზარის ქალიშვილი ქეთი და თავადაც გამწარებული,შვილმკვდარი დედა ბებიას მაინც ანუგეშებს. ზრუნვას არ აკლებენ არც რძლები – ეთერ გონაშვილი და ელზა ხარაშვილი უკვე ხანდაზმულ დედამთილს, ღვაწლმოსილ პედაგოგსა და ღირსეულ ადამიანს, რომელსაც 21 აგვისტოს 90 წელი შეუსრულდება. გილოცავთ ქალბატონო მაყვალა, ცხოვრება სურვილზე არ არის მორგებული, ის ბედისწერაა და შენც ვერ გაექცევი მას. მხნეობას გისურვებთ და შენი ოჯახის კარგად ყოფნას.

ნაირა გორაშვილი

# „რთველი-2018“ იწყება



ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე სააგენტოსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა რთველის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებებზე იმსჯელეს .

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რთველი- 2018 მომავალ კვირას დაიწყება.

# მერმა წარმომადგენლებს აქტიურობისკენ მოუწოდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით 14 აგვისტოს გაიმართა.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მერის წარმომადგენლებისაგან მოისმინა. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურული მშენებლობები მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს და ახლო მომავალში ის კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ მერის წარმომადგენლების მხრიდან მიმდინარე პროცესის ხელშეწყობა და მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია, ამიტომაც მერმა მათ მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდა.



# დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №564

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნის შესახებ.

\- - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს N 408 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

**ვბრძანებ:**

**1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

**2.** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2018 წლის 29 დეკემბრამდე.

**3.** სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

**4.** 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**5.** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.

**6.** მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

**7.** ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

**8.** დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

**9.** ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

**10.** ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 8 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

**11.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 თებერვლის №61 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2017 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

ბ) დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2018 31 იანვრის N67 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

**12.** ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
**მუნიციპალიტეტის მერი**

# „...თხემით ტერფამდე მტკივა ჩემი ქვეყნის დამწვარი მაჯა!“

თითქოს გუშინ იყო, არადა, მას მერე თითქმის ორი ათეული წელი გავიდა. ქორწილი იყო, ქართული, ტრადიციული, ლამაზი ქორწილი. პატარძალი ქართველი გოგონა ირმა შიოლაშვილი იყო, სიძე – გერმანიის მოქალაქე იოაჰიმ ბრიტცე. ქართველ სტუმართა გვერდით მრავლად იყვნენ გერმანელებიც.სიძემ ჯვრისწერის წინ მართლმადიდებლობა მიიღო



და ... კომუნიკაციისთვის საჭირო და აუცილებელი მარტივი წინადადებებიც წარმოთქვა ქართულად. მაშინ მივხვდი, რომ ირმა ჩვენთვის, ქართველებისთვის, დაკარგული და ცხრა მთას იქით გადახვეწილი არასდროს იქნებოდა. ასეც მოხდა. შეიქმნა მშვენიერი, ჰარმონიული, ინტერნაციონალური ოჯახი. ქვეყანას მალე ლუკა მოევლინა, მას ალექსანდრე მოჰყვა. საუკეთესოდ აღზრდილი და განათლებული ყმაწვილები არიან. გერმანულ ენასთან ერთად ქართულიც მათი მშობლიური ენაა. თავისუფლად საუბრობენ ქართულად და ძალიან უყვართ დედოფლისწყარო, რადგან ზაფხული ისე არ ჩაივლის, ირმა, ოჯახთან ერთად, მშობლებს არ ეწვიოს. სიხარულით ივსება ვანო და ეთერ შიოლაშვილების გული, როცა მთელ ოჯახს ერთად მოუყრიან ხოლმე თავს. წელსაც არ დაარღვია ტრადიცია და მშობლიურ რაიონს ირმა, შვილებთან ერთად, ეწვია. გერმანულმა გამომცემლობა Pop-Verlag-მა ახლახანს გამოსცა ირმას კიდევ ერთი პოეტური კრებული, რომელიც ორენოვანია და მასში შესულია ახალი ლექსები მისი გერმანული თარგმანებით. დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციამ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში შეხვედრა მოუწყო პოეტს და ახალი კრებულის პრეზენტაცია გამართა. შეხვედრა მიძღვნილი იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი.

ირმა შიოლაშვილი 1974 წელს დაიბადა დედოფლისწყაროში. წარმატებით დაამთავრა N1 საშუალო სკოლა, 1991-96 წლებში სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ის ლექსებს ბავშვობიდან წერდა და აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „შირაქის“ რედაქციასთან – აქვეყნებდა ლექსებს, საკლასო თუ სასკოლო ცხოვრების ამსახველ კორესპონდენციებს. ისე რომ, ის ჩვენი რედაქციის ფურცლებზე გაიზარდა. რესპუბლიკურ საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებშიც ხშირად იბეჭდებოდა, რამაც გავლენა მოახდინა მის პროფესიულ არჩევანზე. მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, გულის სიღრმემდე გამჯდარი გრძნობა, სინატიფე, გულწრფელობა, ერთ ყალბ სტრიქონს ვერ იპოვი მის შემოქმედებაში, სადაც ყველაფერია ერთად თავმოყრილი:- სიყვარული, პატრიოტიზმი, გულის თვალით დანახული წარსული, აწმყო და მომავალი, ერთმანეთში შერწყმული რეალობა, ოცნება და სურვილი...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ უკვე შემდგარმა და რეალიზებულმა ჟურნალისტმა ბონის ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში გადაწყვიტა ცოდნის გაღრმავება. ასე დაიწყო მისი შეხება გერმანულ კულტურასთან. 20 წელია, ირმა გერმანიაში, ერთ-ერთ უძველეს ქალაქ ბონში ცხოვრობს. დღეს ის რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, ფლობს დოქტორის ხარისხს და მიჰყავს რადიოგადაცემა „სარკმელი საქართველოსკენ“. რამდენიმე წლის წინ დედოფლისწყაროს გამგეობამ და საკრებულომ მას „წარმატებული დედოფლისწყაროელის“წოდება მიანიჭა. შარშან ირმა რესპუბლიკის მასშტაბით ასევე დააჯილდოვეს „წარმატებული ემიგრანტი ქალის“ სტატუსით.

საპრეზენტაციო წიგნი, რომელსაც „თავდაყირა“ ეწოდება, იწყება ლექსით „ჩემი ცხოვრება“.

„ჩემი ცხოვრება-დაფანტული ფერად ღილებად,
წარსულს და აწმყოს ერთნაირი სისავსით იტევს,
ხოლო ხეები, ცხოვრებიდან ამოზრდილები
ამ მარადიულ გასაყართან ხეთქავენ კვირტებს.
საუბრობს მიწა, მადლით სავსე, მისი ბაგიდან
მველი სიტყვები ამოდიან ცოცხალ იებად,
მე კი ვდგავარ და აღარ ვიცი, საით წავიდე
ჩემი სარკეში არეკლილი ისტორიებით...
ყველა ამბავი გაიზარდა,
ყველა იმედი გაიზარდა,
მაინც აქ ვდგავარ!“



არ შეიძლება არ აღფრთოვანდე, როცა მოისმენ მის პატრიოტულ ლექსს „ზღვა“.

„აი, ჩემი სიყვარული,
სამშობლოდ დაბადებული სიყვარული,
წინაპრის ძვლებით შემოღობილი სიყვარული,
წინაპრის ლეგენდებით ნაკვები სიყვარული,
მუხის ფოთლებით ავსებული სიყვარული,
მუხის ფოთლებით მოშრიალე სიყვარული,
ორ დიდ მუჭაში ჩავტიე და ტალღებს მივანდე“...

და ამ ლექსის გვირგვინი – **„და ასე, თხემით ტერფამდე მტკივა ჩემი ქვეყნის დამწვარი მაჯა“**. მსმენელს თვალზე ცრემლი მოჰგვარა აგვისტოს ომისადმი მიძღვნილმა ლექსმა „ხუთი დღისა და ხუთი თითის ამბავი“.

„...აკრული მაქვს თვალები,
რომ საკუთარ თავს დავუმალო
გადამწვარი მინდვრები,
ცეცხლწაკიდებული ტყეები,
ჰატივაყრილი კარ-მიდამო,
ჰატივაყრილი გოგონები,
ჰატივაყრილი გმირები,
ჰატივაყრილი ცრემლი.
ოკუპირებულია ჩემი იმედი,
ლიკვიდირებულია ჩემი იმედი,
ხუთ თითში მოქცეულია ჩემი იმედი,
ხუთ თითში მოქცეულია ჩემი ისტორიაც,
იწვის და გულს მიწვავს,
იწვის და სისხლს მიდუღებს,
იწვის და ხმაჩახლეჩილი მეძახის,
რომ გახელილი გულის თვალით უნდა ვიარო!“

– 2017 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი იყრის თავს, ერთ-ერთ ლექსად სწორედ ეს ლექსი წავიკითხე. მინდოდა, ევროპისთვის, რომელმაც ჩვენი ტკივილი თანდათან თითქოს დაივიწყა, შემეხსენებინა, რომ ჩემი სამშობლოს, ჩემი საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ. სწორედ ამ შინაარსის პლაკატებით ხელში გამოვდივართ-ხოლმე საერთაშორისო დონის ღონისძიებებზე – ამბობს ირმა და მთელი გრძნობით უკითხავს დამსწრე საზოგადოებას თავის საყვარელ ლექსებს.დარბაზში კი მრავლად არიან ირმას შემოქმედების დამფასებლები და თაყვანისმცემლები.აქ არიან ირმას ოჯახის წევრები და ახლობლები, აქ არიან მისი პედაგოგები და თანაკლასელები, პოეტები, განათლების და კულტურის მუშაკები, გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლები, დარბაზი სავსეა და ... ყველას სურვილია მოეფეროს, შეაქოს და წარმატებები უსურვოს მას.

– სამი პარალელური პირველი კლასი ვიდექით 1 სექტემბერს №1 სკოლის ეზოში. მასწავლებლები გველოდნენ. მე გავიქეცი და თამრიკო ალადაშვილს ჩავავლე ხელი, მომეწონა, ახალგაზრდა და ლამაზი იყო – იხსენებს ირმა თავის პირველ შეხვედრას პირველ მასწავლებელთან.პირველ სიტყვასაც, სწორედ თამარ ალადაშვილი ითხოვს.

თამარ ალადაშვილი: – ირმა ისეთი მოსწავლე იყო, რომელიც არ დაგავიწყდება – ზრდილი, თავმდაბალი, ბეჯითი. გამორჩეული მიდრეკილება ჰქონდა მშობლიური ენისადმი. სასიამოვნოა, როცა შენი გაზრდილი წარმატებებს აღწევს. მიყვარხარ და მეამაყები, ჩემო ირმა.

დარეჯან ყოჩიაშვილი: – ირმა ძალიან მიზანდასახული და შრომისმოყვარე მოსწავლე იყო. ვისურვებ, მომავალი პრეზენტაცია გამთლიანებულ საქართველოში გაიმართოს.

თანაკლასელს მოეფერნენ **მარიკა პოპიაშვილი და ეკა ზურაშვილი, ეგული და დიტო ყოჩიაშვილებმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა, თამარ ლობჟანიძემ, ქეთინო მჭედლიშვილმა, ნათელა პოპიაშვილმა** და სხვებმა ერთხმად აღიარეს პოეტის ნიჭიერება, გამორჩეული ხელწერა ვერლიბრის ჟანრში და წარმატებები უსურვეს მას, როგორც საქართველოს თავისუფალ ელჩს – „გვინდა, გერმანიაში გაგატანოთ ჩვენი თვალების სითბო“ – ასეთი იყო გზავნილი ახალგაზრდა პოეტისადმი, რომელიც გერმანიაშიც ქართულ საქმეს ემსახურება. მანანა მაჭარაშვილმა ირმას პოეზიასთან ერთად ხაზი გაუსვა მის უაღრესად საინტერესო პროზაულ სადისერტაციო ნამუშევარს „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“.

– ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ირმა წარმატებულია აქაც და იქაც, ჩვენ ერთი – ღუდუშაურების ბუდიდან ვართ აფრენილი და მეამაყება, რომ მასში მთის ქალის სიმტკიცეს ვხედავ. მადლობელი ვარ, რომ ქართულ კულტურას, ქართულ სულს აცნობ დიდ გერმანელ ერს. შემოქმედის ვალია, ჩვენი ქვეყნის ტკივილი მიიტანოს ევროპამდე და შენ ამას კარგად ართმევ თავს- თქვა თავის გამოსვლაში **კაკო სამუკაშვილმა.**

ღვაწლმოსილმა პედაგოგმა და ფილოლოგმა **ნინო ბოსტოღანაშვილმა** უმაღლესი ქულით შეაფასა ირმა შიოლაშვილის შემოქმედება, მომავალი წარმატებები უსურვა მას და ვერ დაფარა გულისტკივილი, შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა აიმაღლონ ხმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მარიხუანას ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, რასაც დამსწრეთა ერთსულოვანი მხარდაჭერა მოჰყვა.

– ბედნიერი ბავშვობა მქონდა. თქვენს შორის ბევრი სანატრელი წუთი მაქვს გატარებული. აქაური სითბო მასაზრდოებს 20 წელია გერმანიაში, რომელიც გვიან, მაგრამ ჩემს მეორე სამშობლოდ შევიცანი. მადლობა ყველას ყველაფრისთვის,- თქვა თავის სამადლობელო სიტყვაში ირმამ და მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა ყველას.

ამ შეხვედრაზე კიდევ ერთი საინტერესო წიგნის პრეზენტაცია შედგა. ეს გახლდათ ეთერ კაპანაძის „რაც გავიხსენე“. წიგნის განხილვა დამსწრე საზოგადოებას მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა **თამარ ჯავაშვილმა და ნინო პოპიაშვილმა** წარუდგინეს. წიგნის ავტორს, ქალბატონ ეთერ კაპანაძეს, 80 წლის მანძილზე ბევრი სათქმელი დაუგროვდა.ის მადლობელია უფლის, რომ მისცა სურვილი, ძალა და კურთხევა, ყველაფერი დაეწერა, რაც გაახსენდა, მადლობელია მშობლების – ნინა ლომიძისა და ილია კაპანაძის, რომ მოავლინეს ამქვეყნად, აღზარდეს ღირსეულ მოქალაქედ, ხელი შეუწყეს მის განათლებასა და განვითარებას, მადლობელია მეუღლის – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გრიგოლ ფირცხალავასი, რომელმაც შექმნა ხელოვნური გულის უნატიფესი აპარატი და უამრავი სიახლის დანერგვით გამოიჩინა თავი, როგორც მკვლევარმა, მეცნიერმა და მედიკოსმა. მან, როგორც მეუღლემ, მსოფლიო მოატარა, უამრავი რამ აჩვენა და დიდ სითბოსა და სიყვარულს აზიარა. მადლობელია შვილების – ქეთის და გიასი, რომელთა დაბადებამაც გააბედნიერა და მათი საქმიანობით მუდამ კმაყოფილი იყო. გია ფირცხალავა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობს. ქეთი ფირცხალავა „მზიურის“გამორჩეული სოლისტი გახლდათ, ცნობილი „ანტოშკას“ ერთ-ერთი შემსრულებელი. მან მზიურელთა ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა და მსოფლიო მოიარა. მუსიკალურ ნიჭთან ერთად იგი გატაცებული იყო ხატვითაც.არაერთი პერსონალური გამოფენა მოაწყო. ხატავდა ბავშვობიდან. სწორედ ბავშვობაში დახატა სამი ახლობელი ადამიანი და-ძმები – რამაზი, აჩიკო და თავისი ნათლული რუსუდანი. წლების შემდეგ სამივე სასულიერო



პირი გახდა. რამაზი ჩენი დღევანდელი მეუფე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) გახლავთ, აჩიკო დეკანოზი რევაზია, რომელიც ადიგენის წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძრის წინამძღვარია, ხილო ქეთის ნათლული რუსუდანი, იგივე დედა სერაფიმა სოფელ სამრეკლოს სერაფიმ საროველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარია. სწორედ დედა სერაფიმა, სხვა დედაოებთან ერთად, ესწრებოდა ღონისძიებას და ბევრი რამ გაიხსენა როგორც თავისი ნათლიის, ასევე კაპანაძეების ოჯახის შესახებ. დასანანია, რომ ქეთ ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან. წიგნი კაპანაძეების და ფირცხალავების საინტერესო ცხოვრების ეპიზოდებს მოიცავს და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ღონისძიების დასასრულს **თამარ ჯავაშვილმა,** ყველას სახელით, მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს **ნანა ჭიჭინაძეს** და „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭებაც მიულოცა.

ნაირა გორაშვილი

# წყალმომარაგების გაუმჯობესებაზე პარლამენტში იმსჯელეს

**დედოფლისწყაროლებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხზე, წყალმომრაგების გაუმჯობესებაზე პარლამენტში იმსჯელეს. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კახეთის რეგიონში წყლის მიწოდების თემაზე საკმაოდ კრიტიკული განცხადებები გაკეთდა, რომელიც ოპოზიციას სულაც არ ეკუთვნოდა. როგორც გაირკვა, პრობლემებს თავად „ქართული ოცნების“ წევრებიც აღიარებენ და ამა თუ იმ უწყების მუშაობის ეფექტურობას საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მუშაობით უკმაყოფილოა სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, რომელიც პარლამენტის ტრიბუნიდან ღიად საუბრობს იმაზე, რომ რეგიონული განვთარებისა და ინფრასტრუქტურის წინა მინისტრს რეგიონებთან მჭირდო კონტაქტის დეფიციტი ჰქონდა, რის გამოც ბევრი პრობლემა დაგროვდა. შიოლაშვილის მიერ გაჟღერებულ პრობლემებს აღიარებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის ახლადდანიშნული მინისტრი მაია ცქიტიშვილი, რომელიც ასევე ამბობს, რომ წყალმომარაგების კომპანიის მუშაობა ეფექტური არ იყო და ამისათვის კომპანიაში ძირეული ცვლილებები გატარდება, მათ შორის საკადრო. კომპანიის რეორგანიზაცია უკვე დაიწყო.**





პარლამენტის წევრი რეგიონების წყლით უზრუნველყოფის ამჟამად არსებული სამთავრობო მენეჯმენტით უკმაყოფილების მიზეზებს ღიად ასახელებს და ნაკლოვანებებზე კონკრეტული მაგალითებით საუბრობს. ირაკლი შიოლაშვილი ფიქრობს, რომ თუ მენეჯმენტში ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობა იქნება, ვითარება ბევრად გაუმჯობესდება, თუმცა, მინისტრი ფიქრობს, რომ ამ ეტაპზე თვითმმართველობების ჩართვისთვის მზად არ არიან.

„ქალბატონო მაია, პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რადგან გადაწყვიტეთ, რომ მაჟორიტარებთან და ზოგადად რეგიონებთან უფრო მჭიდრო კონტაქტი გქონდეთ. გულწრფელად და ღიად გეტყვით, აქამდე ამის დეფიციტი ნამდვილად არსებობდა. ამ დარბაზში უკვე გაიჟღერა, რომ წყლის დებეტის პრობლემა არსებობს რეგიონებში. სერიოზული პრობლემაა არა მარტო წყლის დებეტის ნაკლებობა, მათ შორის ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, არამედ არასწორი მენეჯმენტი, რასაც ხშირად ვაწყდებით. როცა სოფელს აქვს მაგალითად 100 ტონა წყალი, ამას ჩვენ მოსახლეობას კარგად ავუხსნით, რომ დღიურად მეტი მარაგი არ არის და ეს უნდა იკმარონ. თუმცა, ვერანაირად ვერ ავუხსნით და ვერ დავარწმუნებთ მოქალაქეებს, რატომ იღებს ერთი აბონენტი წყალს მრიცხველით, ხოლო მეორე მრიცხველის გარეშე – ეს უკვე სერიოზული პრობლემაა. მოსახლეობისთვის რთული გასაგებია, როცა რეგიონებში ქალაქების მენეჯმენტს თბილისიდან აკეთებს კომპანია, ხოლო სოფლებში თვითმმართველობა მართავს, განსხვავებული მიდგომა გვაქვს სოფელსა და ქალაქს შორის. ამ დროს თბილისიდან წყალმომარაგების კომპანიის ფილიალში დანიშნული ადამიანები, შესაძლოა, საერთოდ არ ეკონტაქტებოდნენ მუნიციპალიტეტის მერს და ადგილობრივ თვითმმართველობას, რადგან მათი უშუალო ხელმძღვანელი თბილისში ზის, ამიტომ არ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან და პასუხისმგებლობა აქვთ თბილისთან – ეს უკვე პრობლემაა! არადა, როცა რეგიონში წყალი არ მოდის, ან რაიმე პრობლემაა, ეს უარყოფითი განწყობა და პრეტენზიები ძირითადად მერის, დეპუტატის და ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით მოდის ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ განკარგავს და არ ერევა პროცესში. როცა ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, აქვე ხომ არ გვეფიქრა იმაზე, რომ რეგიონებში გადავიტანოთ წყალმომარაგების მენეჯმენტი და ადგილობრივი ხელისუფლება ჩაერთოს ამაში. ან, ისე მოხდეს, რომ კადრების შერჩევის და დანიშვნის პროცესში მერიც მონაწილეობდეს. იდეის სახითაც ვამბობ ამას და გეკითხებით კიდეც, რომ უმჯობესი იქნება ადგილობრივი კადრები მერის ჩართულობით დაინიშნოს, რადგან, საბოლოო ჯამში მერს სთხოვენ პასუხს პრობლემების არსებობის შემთხვევაში და პირველ რიგში უარყოფითი განწყობა მერიაში მიდის, მას მეტი ბერკეტი უნდა ჰქონდეს და მეტი კომუნიკაცია სჭირდება წყალმომარაგების რაიონულ სერვისცენტრებთან.

ინფრასტრუქტურის მიმართულებითაც არსებობს პრობლემები. არ დავმალავ, უკვე გვქონდა სამუშაო შეხვედრებიც... მე ვფიქრობ, რეგფონდი კიდევ უფრო უნდა გამსხვილდეს და წვრილმანი პროექტები ერთიანი, მსხვილი პროექტების სახით იყოს მომავალში გამოტანილი. ასევე მინდა ხაზი გავუსვა ერთ პრობლემას, რომელზეც ჩემმა კოლეგებმა უკვე ისაუბრეს, მაგრამ მეც მინდა გამოვყო - მიმდინარე წელს რეგიონებში საპროექტო სამუშაოების შესყიდვა სერიოზულ პრობლემად იქცა. აბსოლუტურად ყველა ტენდერი ჩავარდნილია. ყველა საპროექტო ორგანიზაცია რატომღაც ხელს იშვერს ზედამხედველობის კომპანიისკენ და არ სურთ ტენდერში მონაწილეობის მიღება, რადგან განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან... იქნებ დავინტერესდეთ და მოვიკითხოთ ეს საკითხი, რატომ იქცა პრობლემად. წელს ყველა მუნიციპალიტეტში ტენდერი ჩავარდა. გუშინაც და გუშინწინაც მოვიკითხე, აღმოჩნდა, რომ ჩემს მუნიციპალიტეტებში საპროექტო სამუშაოები არ შეძენილა. ანუ, ფული გვაქვს, მაგრამ მენეჯმენტის პრობლემაა, მისი ათვისება ვერ ხერხდება და პროექტების განხორციელება ჭიანურდება. მაქვს ახალი ინფორმაციაც, სიღნაღშიც და დედოფლისწყაროშიც ყველა ასეთი ტენდერი ჩაიშალა.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მინდა გითხრათ, სხვათაშორის წიაღისეულის ფასმა წინა მთავრობის პერიოდში მოიმატა. ზუსტად მახსოვს დედოფლისწყაროში ინერტულ მასალაზე რაღაც პერიოდში გაზარდეს, შემდეგ კონკრეტული ადამიანების ჩარევის შედეგად სასწრაფოდ რამდენჯერმე შეამცირეს, იმაზე მეტადაც კი გაიაფდა, ვიდრე მანამდე ღირდა. ამიტომ, საჭიროა ,ინერტული მასალის ფასი აუცილებლად ისევ გაიზარდოს. კონკრეტული მაგალითებიც შემიძლია მოვიყვანო და ეკონომიკის მინისტრს დეტალურად მივაწოდო ინფორმაცია, რა და როგორ იყო,“ – აღნიშნა შიოლაშვილმა.

აღმოჩნდა, რომ მინისტრი ირაკლი შიოლაშვილის პათოსს თითქმის სრულად იზიარებს. მაია ცქიტიშვილიც აღიარებს, რომ წყალმომარაგების კომპანია მოთხოვნებს არ შეესაბამება და მისი რეორგანიზების გადაწყვეტილება სწორედ ამიტომ მიიღო. ცქიტიშვილი ტენდერების ჩავარდნის საკითხსაც ადასტურებს და ამბობს, რომ მისი უწყება საკითხზე უკვე მუშაობს. თუმცა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ფიქრობს, რომ წყლის მენეჯმენტის რეგიონების თვითმმართველობებისთვის გადაცემა ამ ეტაპზე ნაადრევია და ამისთვის ჯერ მზად არ არიან.

„კახეთში ძალიან მძიმე ვითარებაა, როგორც წყალმომარაგებასთან დაკავშირებით, ისე ზოგადად, პროექტების შესრულებისა და მენეჯმენტის თვალსაზრისით“, – განაცხადა რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა პარლამენტის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე. ცქიტიშვილმა კახეთის რეგიონში წყალმომარაგებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნებიდან“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის და კახეთის ყოფილი გუბერნატორის, ირაკლი შიოლაშვილის შეკითხვას უპასუხა.

„ბევრი დაწყებული პროექტი ამ რეგიონში, სამწუხაროდ, ვერ დასრულდა. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის განახლებული მენეჯმენტი, სადაც ჩვენ ცვლილებები უკვე განვახორციელეთ და კიდევ ვგეგმავთ, ამჟამად ბევრ პროექტზე მუშაობს. იმედი გვაქვს, რომ ტემპებსაც დავაჩქარებთ და პრობლემებს დროულად მოვაგვარებთ. კანონი გვავალდებულებს რომ ტენდერები ჩავატაროთ. თუმცა, ტენდერების ჩატარებისას - გამოცხადებისა და შეფასების დროს, ვაწყდებით რიგ პრობლემებს: ადგილზე არასაკმარისი კვალიფიკაციის, სხვადასხვა სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების ფაქტებს და კომპანიების დაბალ ხარისხსაც. რასაც ვაკეთებთ ამ ეტაპზე არის სატენდერო დოკუმენტაციის და პრაქტიკების გამართვა და დანერგვა და მეორეს მხრივ, მიდგომა მენეჯმენტთან და ზოგადად პროექტების მართვასთან დაკავშირებით - ყველა მხარემ ზედმიწევნით უნდა დაიცვას ხელშეკრულება. ჩვენ დავიწყეთ რეალურად იმ საჯარიმო სანქციების ამოქმედება, რომლებიც ხელშეკრულებაში არის და მხოლოდ 2 თვის განმავლობაში, 340 000 ლარზე მეტის საჯარიმო სანქციები დავაკისრეთ უკვე მხოლოდ საგზაო დეპარტამენტის მხრიდან კომპანიებს, რომლებიც არ ასრულებდნენ თავის ვალდებულებებს. შესაბამისად, ეს არის ერთ-ერთი მეთოდი. თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგადად პროექტების მართვის, ასე ვთქვათ, ხარისხის გაუმჯობესება ყველა მხრიდან არის საჭირო“, – აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

„როგორც აღმოვაჩინე, ბევრგან აბონენტები არც არიან აღრიცხულები. სოფლად წყალმომარაგება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაფინანსებით არის გაკეთებული და სასმელი წყლის ხარისხი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. შესაბამისად, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად უკვე ვსახავთ გარკვეულ ღონისძიებებს, რომელიც საჭიროა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად. ვფიქრობთ, რომ სოფლად წყლის სისტემების ინტეგრაცია მოხდეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სისტემაში, რათა შემდეგ მოხდეს როგორც მრიცხველების დაყენება, ასევე აბონენტების ჩართვა საერთო ქსელში. საკმაოდ დიდი ცვლილებები არის საჭირო წყალმომარაგების კომპანიაში, როგორც საკადრო თვალსაზრისით, ისე უშუალოდ ოპერირების კუთხით. პირველ ეტაპზე უმჯობესი იქნება, წყალმომარაგების კომპანიის ფუნქციონირება გაუმჯობესდეს, გავმართოთ კომპანია და შემდეგ ვიფიქროთ მის შესაძლო პრივატიზაციაზე, ან კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამ საკითხებზე ჩვენ ვმსჯელობთ ეკონომიკის სამინისტროსთან და დონორებთან ერთად და ბუნებრივია, ერთად გავაგრძელებთ მუშაობას“ – უპასუხა მაია ცქიტიშვილმა საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დასმულ შეკითხვას რეგიონებში წყალმომარაგების მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ.

ილია მარტყოფლიშვილი

# სანდოა თუ არა წყალი?

**რამდენიმე კვირის წინ დედოფლისწყაროში წყლის ხარისხთან დაკავშირებით აჟიოტაჟი ატყდა. მიზეზი კი ის იყო, რომ 25 ადამიანი მოიწამლა და სხვადასხვა სიმპტომებით ინფექციურ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ერთ-ერთ ვერსიად იმთავითვე წყლით მოწამვლა სახელდებოდა, თუმცა, განიხილებოდა კვებითი ინტოქსიკაციაც. ოფიციალური უწყებები გადაჭრით ვერაფერს ამბობდნენ. თბილისიდან დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებიც ჩამოვიდნენ, რომელთაც მუნიციპალიტეტში არსებული ყველა წყარო და ცენტრალური რეზერვუარი შეამოწმეს. კვლევის შედეგები დედოფლისწყაროში უკვე მოვიდა. დასკვნებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ დედოფლისწყაროში არცერთი წყარო სასმელად ვარგისი არ არის!.. ეშერიხია კოლი და სტრეპტოკოკი აღმოჩნდა თითქმის ყველა წყალზე. ერთადერთი წყარო, რომელიც შედარებით უკეთესია, ოზაანისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ე.წ. „ბურლის წყალია“, ის ისედაც პოპულარულია და იქ მუდამ რიგი დგას...**

მასალის მზადებისას გაზეთი „შირაქი“ ორ ოფიციალურ უწყებას ესაუბრა, ორივე ერთმანეთისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებს. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ვითარების სირთულეზე საუბრობს და პირდაპირ ამბობს, რომ არცერთი წყლის სათავე სასმელად ვარგისი არ არის. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ადგილობრივ სერვის ცენტრში კი აღელვების საფუძველს ვერ ხედავენ და ირწმუნებიან, რომ ონკანის წყლის სასმელად გამოყენება მშვიდად შეგვიძლია. პრობლემას წყალმომარაგების კომპანიაც აღიარებს, თუმცა ამბობენ, რომ ღონისძიებები გატარდა და ონკანის წყალში სახიფათო აღარაფერია.

ორივე ოფიციალური დასკვნის მიხედვით დედოფლისწყაროში წყლის სასმელად მიღება გადადუღების გარეშე რეკომენდირებული არ არის. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, მოქალაქეების მოწამვლა წყალმა გამოიწვია, თუ საკვებმა. როგორც გაირკვა, 25-დან 23 ადამიანი იმ ქელეხის სუფრაზე იმყოფებოდა, რომელიც შირაქის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურთან მდებარე ერთერთ კვების ობიექტში მოეწყო. თუმცა, ანალოგიური სიმპტომები ისეთ მოქალაქეებსაც აღმოაჩნდათ, რომლებიც სხვა სოფელში ცხოვრობენ და არც ამ სუფრასთან ჰქონიათ შეხება. ამიტომ, ისევ პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, რა მოხდა და ვისი ბრალეულობით აღმოჩნდნენ ადამიანები საავადმყოფოში.

**წყლის სისუფთავის კუთხით ყველაზე რთული ვითარებაა ე.წ. მაზოვკისა და ჯარის წყლებზე. ამ ორ წყალში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ეშერიხია კოლისა და სტრეპტოკოკის არსებობა დადასტურდა. შედარებით მცირე დოზით, მაგრამ ეშერიხია კოლი აღინიშნა გამარჯვების წყალშიც. ეშერიხია კოლის არცერთი მიკრობი არ აღმოჩნდა ე.წ. „ბურლის წყალზე“. ამიტომ ერთადერთი წყარო, რომელსაც სპეციალისტები გვირჩევენ, სწორედ ესაა.**

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში კვლევის შედეგები ხელთ აქვთ. თუმცა, სპეციალისტები გადაჭრით ვერც ახლა ამბობენ ადამიანების ინტოქსიკაციის გამომწვევ მიზეზად წყალი იქცა, თუ საკვები. ცენტრის დირექტორი, **მარიეტა გონაშვილი** „შირაქთან“ საუბრისას ვარაუდობს, რომ წყლის ბრალეულობის შემთხვევაში მოწამლული ადამიანების რიცხვი გაცილებით დიდი იქნებოდა, ვიდრე ამჯერად იყო.

*(გაგრძელება გვ.8)*

# ბოლო 5 წლის ყველაზე გრილი აგვისტო — რა იწვევს ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას და როდის იყო ყველაზე ცივი ზაფხული?

წლევანდელი აგვისტო ივლისთან შედარებით, საქართველოში, მათ შორის თბილისში, საგრძნობლად გრილი აღმოჩნდა. საზღვაო კურორტებზე დასასვენებლად წასული მოქალაქეები წვიმიან ამინდებზე ჩივიან - შავი ზღვის სანაპიროზე აგვისტოს ნახევარი ისე გავიდა, რომ დამსვენებლები შტორმის და უამინდობის გამო ზღვაში არც კი შესულან და წვიმიანი ბა-თუმის თვალიერებაში ატარებენ შვებულების დღეებს.




აგვისტოს ყველაზე დაბალი ტემპერატურა თბილისში 2018 წელს

რა განაპირობებს ტემპერატურის ასეთ ცვლილებას და როდის დაფიქსირდა აგვისტოს თვეში ყველაზე დაბალი ტემპერატურა საქართველოში - ამაზე გარემოს ეროვნული სააგენტო გვაწვდის ინფორმაციას.

მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის სამმართველოს უფროსის ლია მეგრელიძის თქმით, მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ ნახევარში საქართველოში ამინდს, ძირითადად განაპირობებდა კავკასიონის ჩრდილოეთით დამყარებული მაღალი წნევის არე და მასთან დაკავშირებული შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასები, რომლებიც საქართველოში პერიოდულად ვრცელდებოდა ხან შავი ზღვის, ხან კასპიის ზღვის მხრიდან, რასაც დროგამოშვებით თან ერთვოდა სამხრეთის ტალღის მოქმედება. ჰაერის ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიაზე ნორმის ფარგლებში, ან მცირედ მაღალი იყო. მრავალწლიურ ჭრილში, წელს იყო ბოლო 5 წელიწადში ყველაზე გრილი აგვისტოს პირველი ნახევარი.

"საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე +23, +26°C-ის, ხოლო მთაში და მაღალ მთაში +16, +22°ჩ-ის ფარგლებში აღინიშნა. ნალექების რაოდენობის მიხედვით, აგვისტოს პირველი ნახევარი ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე და განსაკუთრებით, დასავლეთ საქართვე-ლოში უხვნალექიანი იყო და ნორმასთან მიმართებაში, საშუალოდ, 1.5-3-ჯერ მეტი ნალექი მოვიდა. ყველაზე ნალექიანი იყო შავი ზღვისპირა ზოლი და მიმდებარე დაბლობი ტერიტორია, სადაც ნალექების თვის ჯამე-ბის მაქსიმალური რაოდენობა (250-500 მმ) აღინიშნა, ხოლო ყველაზე მშრალი პირობები (20-40 მმ) ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში შეინიშნებოდა" - აღნიშნავს მეგრელიძე.

კლიმატის შესამჩნევ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელმაც მოსახლეობა საკმაოდ შეაწუხა, ვესაუბრეთ ექსპერტს - თსუ-ს საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრის გამგე, პროფესორი ნოდარ ელიზბარაშვილი აღნიშნავს, რომ აგვისტოში წყალდიდობები იშვიათია და ბოლო 20 წელია, ასეთი წვიმა აგვისტოში არ ახსოვს:

- ამ პერიოდში საქმე გვქონდა ძალიან მარტივ პროცესთან: ამ ზაფხულს სა-ქართველოში, სიცხის რეკორდი მოიხსნა. თუ აქამდე ვამბობდით, რომ მაქსიმალური ტემპერატურა - + 43,01 იყო, უკვე ლაპარაკია - +44,05-ზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა-ვე პერიოდში შავ ზღვაზე არნახული რაოდენობით აორთქლება ხდებოდა. სიცხემ აღმოსავლეთ საქართველოში გზა გაუხსნა შავი ზღვიდან მონაბერ ჰაერის მასებს, რასაც მოჰყვა ნალექი თავსხმა წვიმის სახით და შესაბამი-სად, აგრილება. მომდევნო ორი დღე უკვე ადგილობრივი წვიმები იყო, რადგანაც ამდენი ნალექის შემდეგ აორთქლება დაიწყო, წვიმები აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ადგილზე ჩამოყალიბდა.

ამის პირობები ახლაც იქმნება - ქარი არ არის, მაგრამ ღრუბლებს ვხედავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან დიდი აორთქლებაა და შესაბამისად, ადგილობრივი წვიმები განვითარდება. ნალექმა გახურებული ნიადაგის ზედაპირის გადაციება გამოიწვია და ტემპერატურების ვარდნა. ახლა ეს ყველაფერი ჩვეულ რეჟიმში დაბრუნდება და უკვე დგება კიდეც ფაქტობრივად. ჩვეულებრივი ტემპერატურებია დამახასიათებელი, აგვისტოში ფერიცვალების წინ და შემდეგი პერიოდისთვის...

***- ტემპერატურის კვლავ აწევა გამორიცხულია?***

- გამორიცხულია მოხდეს. რაც შეეხება წყალდიდობას და წყალმოვარდნას, ეს ჩვეული მოვლენაა, მაგრამ არა აგვისტოსთვის დამახასიათებელი, უბრალოდ, აქ მოხდა ნალექების დიდი რაოდენობით გამოყოფა. მაგალითად, ბოლო 20 წელია, ასეთი წვიმა აგვისტოში არ მახსოვს. ეს იმ პიკს უკავშირდება, რაც დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა. ეს ინფორმაცია უკვე სხვადასხვა სამეცნიერო წრეებში გაისმა და ერთ-ერთ შეხვედრაზე ითქვა კიდეც, რომ შესაძლოა, შეიცვალოს ის მაჩვენებლები, რაც აქამდე ცნობილი იყო.

***- წყალდიდობა ევროპაში იგივე პრინციპს უკავშირდება?***

- იგივე პრინციპია - ატლანტის ოკეანიდან ხდება დიდი რაოდენობით აორთქლება, შემდეგ შემოტანა, რაც ჩვეულებრივი ცირკულაციური პროცესებია, ევროპისთვის დამახასიათებელი. საერთოდ, ბევრი სიცხე ბევრ ნალექს ნიშნავს - ერთმანეთთან კავშირშია და შემთხვევით არაფერი ხდება.




# ცესკო არის ხალხის ხმა და ყველას ექნება ზუსტად ის შედეგი, რასაც მათ ხალხი მისცემს

**რა დაუჯდება ქვეყანას 2018 წლის არჩევნები, რომლის დროსაც ხალხის მიერ ბოლოჯერ მოხდება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა? არიან თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად დანიშნული „ქართული ოცნების", ცესკოს და სუს-ის თანამშრომლების ოჯახის წევრები და როგორ პასუხობს საარჩევნო ადმინისტრაცია ოპოზიციის ბრალდებებს? რამდენად მზადაა ცესკო არჩევნების ჩასატარებლად და რა უნდა იცოდეს საარჩევნო ყუთთან მისვლისას ამომრჩეველმა? – ამ და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა დეტალებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანია საუბრობს.**

***– დაახლოებით 2 კვირაში საპრეზიდენტო კანდიდატები საარჩევნო კამპანიას ოფიციალურად დაიწყებენ. პირველ რიგში შეფასება მინდა გთხოვოთ, როგორ ემზადება ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებისთვის?***

– მიუხედავად კონკრეტული თარიღის გამოცხადებისა, ჩვენთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ არჩევნები ოქტომბერში იქნებოდა. ამიტომ საარჩევნო ადმინისტრაციამ მთელი წელი მოანდომა იმას, რომ უფრო მომზადებული შეხვედროდა საპრეზიდენტო არჩევნებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია რეგიონში ფასდება, როგორც ლიდერი და სამაგალითო, ცხადია, მაინც არსებობს გამოწვევები. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა არის კვალიფიკაციის ამაღლება. ჯერ კიდევ წლის დასაწყისიდან დავიწყეთ საოლქო საარჩევნო კომისიების ტრენინგები, რაც უმთავრესად ფოკუსირებული იყო საარჩევნო დავების განხილვაზე. როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებლების ანგარიშებში აღნიშნულია, რომ ამ საკითხში გაუმჯობესება გვაქვს. ასევე, 7000-ზე მეტმა მოქალაქემ საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები გაიარა, რაც არჩევნების დღის პროცედურების სწავლებას გულისხმობს.

გარდა შიდა რესურსების მომზადებისა, ძალიან მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროგრამები გვქონდა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისა და უნივერსიტეტების პირველ-მეორე კურსელებისთვის. ასევე, ყველა მუნიციპალიტეტში ჩავატარეთ ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანი კამპანია - „ვესაუბრებით ამომრჩეველს" . ეს კამპანია 2017 წელს დავიწყეთ და წელს მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ამ ყველაფერს ფართო სახე მივცეთ.

უახლოეს დღეებში დავიწყებთ საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა გადამოწმების ფართომასშტაბიან კამპანიასაც. ამომრჩევლებს ვთავაზობთ სერვისს, რომ საკუთარი თავი ან ოჯახის წევრი ელექტრონულად გადაამოწმოს საარჩევნო სიაში. ბოლო 2 წლის განმავლობაში, 2 მილიონამდე ამომრჩეველმა სიაში საკუთარი თავი ელექტრონულად გადაამოწმა და ეს არის ძალიან კარგი. ეს ტექნოლოგიური მოხმარების კუთხით ამომრჩევლის მეტ მზაობას აჩვენებს.

***– რამდენი საუბნო საარჩევნო კომისია გაიხსნება ქვეყანაში?***

– ჩვენ გვაქვს 73 მოქმედი საარჩევნო ოლქი, რომელთა მეშვეობითაც მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. შეიქმნება დაახლოებით, 3 600-მდე საარჩევნო უბანი, მათ შორის უბნები შეიქმნება საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვისაც. ზუსტად რამდენი უბანი გაიხსნება საზღვარგარეთ, ეს გვეცოდინება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ დროისთვის ვამზადებთ გეგმას იმასთან დაკავშირებით, სად შეიძლება დავიქირავოთ უბნები. სამწუხაროდ, არ გვაქვს იმის კომფორტი, რომ სახელმწიფო სტრუქტურების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხელთ არსებული შენობები გამოვიყენოთ. ხშირად გვიწევს ხოლმე შენობების დაქირავება. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წინასწარ დაგეგმილი და გათვალისწინებული გვაქვს, უბრალოდ ახლა ამ ორგანიზაციულ საკითხებს ვაწესრიგებთ შესაბამის ორგანოებთან ერთად.

***- რა თანხა დაჯდება წლევანდელი არჩევნები, რომლის დროსაც ამომრჩეველი პირდაპირი წესით ბოლოჯერ აირჩევს საკუთარ პრეზიდენტს?***

- ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ ეს იქნება გარკვეულწილად განსხვავებული არჩევნები იმ თვალსაზრისით, რომ ბოლოჯერ მოხდება პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა და **თანაც 5 წლიანი ვადის ნაცვლად, 6 წლის ვადით იქნება არჩეული. ამიტომ ჩვენ ვიარეთ ყველა მუნიციპალიტეტში, სოფლებში, სამუშაო თუ საჯარო ადგილებში, რათა ამომრჩევლამდე მიგვეტანა ეს ინფორმაცია.** ამავდროულად, ხალხს მუდმივად ვაცნობებთ იმას, რომ ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ შესაბამის საკონტაქტო საოლქო საარჩევნო კომისიას.

2018 წლის არჩევნების ხარჯებისთვის დაახლოებით 39 მილიონი იყო გამოყოფილი, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ არჩევნები არა 60 დღით ადრე, არამედ უფრო ადრე დაინიშნა, ამ გაზრდილმა პერიოდმა გამოიწვია ხარჯების ზრდა. არჩევნების დანიშვნას უკავშირდება საარჩევნო ადმინისტრაციაში დროებითი წევრების მატებაც. როგორც იცით, ცენტრალური საარჩევნო კომისია ოლქებში მხოლოდ ერთ წევრს ირჩევს, დანარჩენი 6 დროებითი წევრი კი არის პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული. არჩევნების გაზრდილი პერიოდი იწვევს მათი სახელფასო პერიოდის ზრდასაც. ამან გამოიწვია ის, რომ ბიუჯეტის კორექტირება გახდა საჭირო. დამატებითი ხარჯების გამო დაახლოებით 4 მილიონზე მეტის მოთხოვნა გვიწევდა, თუმცა ცესკოს 700 000 ლარის ოდენობის დანაზოგი ჰქონდა და შესაბამისად, 3 400 000 ის მოთხოვნა დაგვჭირდება. ეს მოთხოვნა უკვე წარდგენილია ფინანსთა სამინისტროში. ჯამურად რომ ვთქვათ, დაახლოებით 42 მილიონი ლარი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გასაწევი ხარჯები, საიდანაც 1 200 000 ლარამდე სატრენინგო საკითხებზე დაიხარჯება, 9 მილიონზე მეტი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების საეთერო დროსა და მათი წარმომადგენლების დაფინასებას მოხმარდება.

***– არის თუ არა წლევანდელ არჩევნებზე რაიმე სიახლე, რაც ამომრჩეველმა ან საკითხში ჩართულმა მხარეებმა უნდა იცოდნენ?***

– მნიშვნელოვანი სიახლეები ამომრჩევლებზე მეტად, მასში ჩართული მხარეებისთვის გვაქვს. წელს სიახლე რაც გვაქვს ის არის, რომ დამკვირვებელ ორგანიზაციებს შეეძლებათ ონლაინ დანიშნონ თავიანთი დამკვირვებელი ნებისმიერ ოლქში. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ათასობით დამკვირვებელი ინიშნება ამ არჩევნებზე. უნდა აღინიშნოს, რომ გვეყოლებიან საერთაშორისო დამკვირვებლებიც. უკვე ვიცით, რომ იქნება NDI-ის და ეუთოს სადამკვირვებლო მისია.

***- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა. თუმცა ამავდროულად საარჩევნო კოდექსში აღნიშნულია, რომ თუ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, მან რეგისტრაციისას უნდა წარადგინოს დოკუმენტიც, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა მიმართა სხვა, შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ სალომე ზურაბიშვილს 2013 წელსაც უნდოდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება, თუმცა ორმაგი მოქალაქეობის გამო ხელი შეეშალა. შესაძლებელია თუ არა, რომ წელსაც მის ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებულმა რაიმე ფაქტორმა ხელი შეუშალოს მას?***

- საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს საარჩევნო კოდექსით და თქვენ რაც აღნიშნეთ, არის ერთ-ერთი ახალი ცვლილება. წინა შემთხვევაში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დაარეგისტრირა კანდიდატი, რომელსაც ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა სწორედ იმიტომ, რომ კონსტიტუცია კრძალავს პრეზიდენტი იყოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე. თუმცა საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, თუ კანდიდატი წარადგენს

(გაგრძელება გვ.7)

# ცესკო არის ხალხის ხმა და ყველას ექნება ზუსტად ის შედეგი, რასაც მათ ხალხი მისცემს

(მეექვსე გვერდიდან)

ოფიციალურ დოკუმენტს, რითიც დასტურდება, რომ მან მიმართა შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე, ჩვენ მას კანდიდატად ვარეგისტრირებთ. თუ მოხდება ისე, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის მას არ ექნება სხვა ქვეყნის მოქალაქეობა შეწყვეტილი, ალბათ, ეს იქნება განხილვის თემა, თუმცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში ეს აღარ შედის.

***- საგულისხმოა, რომ ეს ცვლილება საარჩევნო კოდექსში არ იყო. ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით ეს ჩანაწერი სულ ცოტა ხნის წინ, 21 ივლისს გაჩნდა. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ აღნიშნული ცვლილება კონკრეტული კანდიდატის გამო შევიდა საარჩევნო კოდექსში?***

– შეიძლება ვიღაცას ჰქონდეს ასეთი ეჭვიც, თუმცა პირველად ვინც ისარგებლა ამ ცვლილებით სულ სხვა ადამიანია და არა ის, ვისზეც შეიძლება ეჭვი არსებობდეს. კანდიდატი გიორგი გახოკია, რომელმაც რეგისტრაციისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საინიციატივო ჯგუფით მომართა, პარალელურად არის რუსეთის მოქალაქე. მან უკვე წარმოადგინა ეს სავალდებულო დოკუმენტი, რომ მან შესაბამის საელჩოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე მიმართა. საარჩევნო კოდექსის ეს ახალი ცვლილება შეიძლება არა ერთმა, არამედ ბევრმა ადამიანმა გამოიყენოს.

***- ოპოზიციური გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ წევრმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ვაკანსიებზე ქართული ოცნების წევრების, სუს-ის მაღალჩინოსნების და ცესკოს თანამშრომლების ოჯახის წევრები არიან დანიშნულები და მათი რაოდენობა 70-ს აღწევს. ადასტურებთ ამ ინფორმაციას? ამ ადამიანებმა შესარჩევი კონკურსი გაიარეს?***

- ცხადია, ეს ადამიანები კონკურსის შედეგად შეირჩნენ. კანონმდებლობით დადგენილი ვადებით გამოცხადდა კონკურსი და კომისიის წევრების ძალიან მაღალი კვორუმით იყვნენ ეს კანდიდატები არჩეული. ამ ადამიანების 80% ბოლო ორ არჩევნებზეც მუშაობდა და პროფესიული ნიშნით იყვნენ არჩეულები. რამდენიმე ადამიანს, რომელიც იმ სიაში დასახელდა, 2006 და 2008 წლიდან აქვთ საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება. ძალიან სამწუხაროა, როცა ასეთ რამეს ამბობენ. თითოეული მათგანი პროფესიული ნიშნით არის არჩეული და არა იმ ნიშნით, რასაც ასახელებენ. ყველას შეუძლია მათი გამოცდილება და მუშაობის ისტორია ნახოს. ეს ადამიანები შარშანაც მუშაობდნენ, შარშანწინაც, მანამდეც და არცერთ მათგანზე რაიმე შენიშვნა, გადაცდომა არც კი არსებობს.

**ზოგადად, როდესაც ასეთი შეფასებები კეთდება, რა თქმა უნდა, ცესკოს აქვს თმენის ვალდებულებაც და ამ საკითხისადმი პროფესიული მიდგომაც. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა პარტიამ ვერ გაიგო, საარჩევნო ადმინისტრაცია არ არის მათი ოპონენტი. ჩვენ ვართ ამომრჩეველზე ორიენტირებული ინსტიტუცია და ვემსახურებით ხალხის ნებას.** ამას აღარ უნდა მიკერძოებული არბიტრების შეფასება. ამას წლებია აფასებენ ეუთო, სხვა საერთაშორისო დამკვირვებლები და მიუკერძოებელი არბიტრები, რომლებსაც არანაირი პოლიტიკური დღის წესრიგი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ქვეყნის და საარჩევნო განვითარება შეაფასოს ნეიტრალური თვალით. ამას აფასებენ ადგილობრივი დამკვირვებლებიც, რომელთა შორისაც არავის არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ არ დაუყენებია. ამიტომ ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას უყურებენ როგორც ოპონენტს.

***- დიახ, მაგრამ როდესაც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ვრცელდება ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად დანიშნულ პირთა შორის არიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, „ქართული ოცნების“ შტაბის წევრები, სხვადასხვა რაიონული ოლქების თავმჯდომარეების ცოლები, ალბათ, ბუნებრივია, რომ საზოგადოების ნაწილში არჩევნების გაყალბების ეჭვი ჩნდება. ეს ყველაფერი ინტერესთა კონფლიქტს არ ქმნის?***

- ასეთ ძალიან არასწორ ბრალდებებსა და არასწორად წაყვანილ შეფასებებზე კომენტარს ცხადია არ გავაკეთებთ, რადგან ჩვენი ვალდებულებაა გამოცდილი კადრები ავიყვანოთ. ყველანაირი ინტერესთა კონფლიქტი ამ შემთხვევაში გამორიცხულია იმიტომ, რომ აქ არის საკანონმდებლო კრიტერიუმები, რომლებსაც ისინი პირდაპირ და სრულყოფილად აკმაყოფილებენ. მეორე, რაც ჩემთვის სასიხარულოა სწორედ ამომრჩევლებს არ უჩნდებათ ასეთი კითხვები. ბოლო საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციასთან ამომრჩეველს კითხვები არ აქვს. ბოლო კვლევების მიხედვით ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი რეპუტაცია, ამომრჩეველი ენდობა საარჩევნო ადმინისტრაციას იმიტომ, რომ მან კარგად იცის ის, რასაც ნეიტრალური არბიტრები ამბობენ - ჩვენ იმ შედეგებს ვდებთ, რა არჩევანსაც ხალხი აკეთებს. მგონია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ხალხში მაღალი სანდოობა და რეპუტაცია ყველა მხარეს უნდა უხაროდეს, ვინაიდან ეს ყველა პოლიტიკური პარტიის გარანტიაა, რომ ის მიიღებს ზუსტად იმდენ ხმას, რამდენსაც ამომრჩეველი მას მისცემს. მე, როგორც ცესკოს თავმჯდომარემ, შემიძლია ყველას იმის გარანტია მივცე, რომ თითოეული საარჩევნო სუბიექტი იმდენ ხმას მიიღებს, რამდენსაც მას ამომრჩეველი მისცემს.

ასეთი ტიპის განცხადებებს ცესკოს დისკრედიტაციის მცდელობად ვაფასებ, მაგრამ ჩემი პროფესიული ვალდებულება და ღირსება არ მაძლევს საშუალებას, რომ კონკრეტულ პოლიტიკოსებს ვუპასუხო, რადგან ისინი ჩართულები არიან საარჩევნო კამპანიაში.

***– არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში თითქმის ყოველ წელს ხვდება საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ხარვეზები. მაგალითად, საერთაშორისო გამჭვირვალობის 2017 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, 2017 წელსაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები საუბრობდნენ ე.წ. „წინასწარი სიების“ არსებობაზე, რომლის მიხედვითაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უნდა შეერჩიათ. რიგ შემთხვევებში ასეთი „წინასწარი სიები“ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შერჩეული პირების ჩამონათვალს თითქმის სრულად დაემთხვა. თქვენ ფიქრობთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები საფუძველს მოკლებულია?***

– ზუსტად მახსოვს ეს ჩანაწერი. არასამთავრობო ორგანიზაცია თვითონ ამბობს, რომ პოლიტიკური პარტიები საუბრობენ ამაზე. პირდაპირ გეტყვით, აქ არაფერი დასამალი არ არის - როდესაც კანდიდატურები შემოდის საოლქო საარჩევნო კომისიებში, ისინი მუშავდება და შემდგომში, რა თქმა უნდა, დამუშავებული სიის საფუძველზე ხდება ხმის მიცემა კანდიდატურებისთვის. ასეთი საუბრები, რომ სია ედო საოლქო კომისიის წევრს და იმ სიას იყენებდა, ბოლო არჩევნებზე 4 ოლქზე დაფიქსირდა. მე აქ ვერაფერ პრობლემას ვერ ვხედავ, თუ არ დადასტურდა, რომ ეს სია მართლა ვიღაცამ მიაწოდა შტაბიდან. ეს სია ოლქში ნებისმიერი წევრისათვის ისედაც არის ხელმისაწვდომი. მას შეუძლია ამოიღოს, დაამუშაოს, დაიდოს წინ და ვინც თვითონ გადაწყვიტა, იმას მისცეს ხმა. თუკი დადასტურდა, რომ შტაბიდან ვინმე ერევა და იქიდან მოტანილი სიით ხდება გადაწყვეტილების მიღება, ჩვენ გვექნება უმკაცრესი რეაქცია. თუმცა, არცერთი მსგავსი ფაქტი არგუმენტებით დადასტურებული არ ყოფილა და აღქმების ჭრილში ჯდება ეს ამბავი. ამ აღქმების მიღმა ზოგჯერ დგას ხოლმე პოლიტიკური მიზნები. მე ამას ვერ ვიტყვი არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ჩვენ მათთან ერთად, ალბათ, უფრო მეტი უნდა ვიმუშაოთ იმაზე, თუ როგორ გავხადოთ ეს პროცესი უფრო მეტად გამჭვირვალე და სანდო.

***- საუბარია იმაზეც, რომ საარჩევნო დავები, უმრავლეს შემთხვევაში ცესკოს სასარგებლოდ წყდება ხოლმე. როგორია სასამართლოს გამამართლებელი გადაწყვეტილებების თანაფარდობა ცესკოსა და მოდავე სუბიექტს შორის?***

- ჩვენ გვაქვს ძალიან საინტერესო სტატისტიკა. მაგალითად, რომ შევხედოთ 2016 წლისა და 2017 წლის სასამართლო დავებს, ვნახავთ, რომ 2016 წელს 1 700-მდე საჩივარი იყო, ხოლო 2017 წელს 1 190-მდე. საჩივრების რაოდენობა დაახლოებით 500-ით იყო შემცირებული. შესაძლოა, ეს რიცხვები არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ 2017 წელს ნაკლები იყო სადაო. საქმე იმაშია, რომ 2016 წელს საარჩევნო პერიოდი იყო უფრო ხანგრძლივი. შესაბამისად, შემცირებული რიცხვები არაფერს ამბობს, თუ არ შევალთ მის შინაარსში. ძალიან მნიშვნელოვანია საჩივრის ქონა, რადგან მაგალითად, ჩვენ გვქონდა სტატისტიკა, რომ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივრების 55%-მდე დავაკმაყოფილეთ. მათი მოთხოვნები უკავშირდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პატარ-პატარა ხარვეზებს.

რაც შეეხება სასამართლო დავების სტატისტიკას, 2017 წელს 7 პროცესი გვქონდა და ყველა ჩვენ მოვიგეთ. ამ შემთხვევაში დავები საარჩევნო ადმინისტრაციის სასარგებლოდ გადაწყდა, ვინაიდან სარჩელები არგუმენტირებული არ იყო. შესაბამისად, ძალიან მარტივი იყო ასეთი სასამართლო დავების ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტა.

***– დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, რომლებიც პარტიების გარეშე იღებენ არჩევნებში მონაწილეობას, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რომ მათი წარმომადგენლობა ყველა დონის საარჩევნო კომისიებში იყოს. როდის და როგორ მოხდება მათი რეგისტრაცია?***

– ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც არჩევნები ადრე დაინიშნა არის ისიც, რომ მხარდამჭერთა ხელმოწერების მოგროვებისთვის როგორც პარტიებს, ისე დამოუკიდებელ კანდიდატებს ჰქონოდათ საკმარისი ვადა. პრეზიდენტობის თითოეულ კანდიდატს სჭირდება მხარდამჭერთა 25 000-ზე მეტი ხელმოწერა, რათა მან გაიაროს რეგისტრაცია. მნიშვნელოვანია, რომ არაუგვიანეს 50-ე დღემდე უნდა მოგვმართონ კანდიდატებმა და არჩევნების თარიღი რომ 60 დღით ადრე დანიშნულიყო, ხელმოწერების მოსაგროვებლად უფრო ნაკლები დრო ექნებოდათ კანდიდატებს. ახლა ვინაიდან თითოეულ კანდიდატს, მათ შორის დამოუკიდებელ კანდიდატსაც, მეტი დრო აქვს იმისათვის, რომ ცესკოში გაიარონ რეგისტრაცია. ამავდროულად, მათ აქვთ უფლება, რომ საარჩევნო უბნებზე წარმომადგენლები ჰყავდეთ. დამოუკიდებელი კანდიდატებისგან განსხვავებით, კანონის მიხედვით პარტიის წარმომადგენელებს სახელმწიფო დაფინანსება ეძლევა. დამოუკიდებელი კანდიდატების წარმომადგენლებს დაფინანსება არ მიეცემათ, თუმცა მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ წარმოდგენილნი იყვნენ ყველა საარჩევნო უბანსა და ოლქში.

აქვე დავამატებ იმასაც, რომ ჩვენ ვცდილობთ, ამომრჩეველთა მაქსიმუმს ჰქონდეს ხმის მიცემის უფლება, ამიტომ ცოტა ხნის წინ გავავრცელეთ ინფორმაცია პირებზე, რომლებიც რეგისტრაციის გარეშე არიან ან რომელთაც ფაქტობრივი საცხოვრებელი არ აქვთ მითითებული. 7 ოქტომბრამდე მათ შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლებს და დააფიქსირონ ფაქტობრივი მისამართი. სწორედ ამ მისამართის მიხედვით ისინი მოხვდებიან სიაში და მიეცემათ ხმის მიცემის უფლება.

დასკვნის სახით მინდა აღვნიშნო, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის ამომრჩეველზე ორიენტირებული ინსტიტუცია, ის არის ხალხის ხმა და ყველას ექნება ზუსტად ის შედეგი, რასაც მას ხალხი მისცემს.

# „ჯპს“ და „ფარმადეპო“ – სააფთიაქო ქსელები, სადაც ანტიდიაბეტურ მედიკამენტებს უფასოდ მიიღებთ

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამით დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები გაიაფდა. დამატებით, კომპანია „გეფა“-ს ინიციატივით, რომელიც არის “ფარმადეპო”-ს და “ჯპს”-ს მომწოდებელი, ყველა მომხმარებელი მიიღებს პროგრამით გათვალისწინებული ანტიდიაბეტური მედიკამენტების 10 აბს ერთჯერადად უფასოდ *

ფარმადეპოს და ჯპს-ს სააფთიაქო ქსელებში მაისიდან უკვე დაიწყო რიგ მედიკამენტებზე, მათ შორის ანტიდიაბეტურზეც ფასების მნიშვნელოვანი შემცირება.

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით: “მეორე ტიპის დიაბეტზე იყო ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფინანსური ტვირთი მოსახლეობისთვის. სამი მთავარი მედიკამენტი, რომელიც „კარგად კეტავს“ ამ მეორე ტიპის დიაბეტს, ესენია: „მეტფორმინი“, „გლიკლაზიდი“ და „გლიმეპირიდი“. აღნიშნული მედიკამენტები საქართველოში წარმოდგენილია სხვადასხვა სავაჭრო დასახელებით და მწარმოებლით.

იხილეთ, რა ფასად შეუძლია მოსახლეობას შეიძინოს მედიკამენტები – „მეტფორმინი“, „გლიკლაზიდი“ და „გლიმეპირიდი“ ფარმადეპოში, ჯპს-ში და სხვა აფთიაქებში:

| მედიკამენტი | სავაჭრო დასახელება | წარმოების ქვეყანა | ფასი | უფასოდ* |
|---|---|---|---|---|
| გლიკლაზიდი მრ 60მგ #30 | დიაბეტონი | საფრანგეთი | 10 ლარი | |
| გლიკლაზიდი მრ 60მგ #30 | გლიკლაზიდ-აპო | კანადა | 4.95 ლარი | 10 აბი |
| მეტფორმინი 500მგ #60 | სიოფორი | გერმანია | 4.50 ლარი | |
| მეტფორმინი 500მგ #60 | მეტფორმინი დენკი | გერმანია | 3.96 ლარი | 10 აბი |
| მეტფორმინი 850მგ #60 | სიოფორი | გერმანია | 5.5 ლარი | |
| მეტფორმინი 850მგ #60 | მეტფორმინი დენკი | გერმანია | 4.95 ლარი | 10 აბი |
| მეტფორმინი 1000მგ #60 | სიოფორი | გერმანია | 5.8 ლარი | |
| გლიმეპირიდი 2 მგ #30 | ამარილი | საფრანგეთი | 3 ლარი | 10 აბი |

მეუღლე ზაქრო; შვილები: ლონდა და ნიკა მეზურნიშვილები; შვილიშვილები: ანდრია და თორნიკე კოშკაძეები, სიძე ირაკლი კოშკაძე; რძალი ქრისტინა მუმლაძე; და ლალი მარტყოფლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანული (ნანა) მარტყოფლიშვილი-მეზურნიშვილი

დაიკრძალა 16 აგვისტოს, სოფელ ზემო მაჩხაანში.

უახლესი მეზობლები: ლალი ნატროშვილი, ლალი ჯანაშვილი, მარინე და გულო პაპაჩაშვილები, ნიაზი და ნათელა ჯანაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნანა მარყოფლიშვილი-მეზურნიშვილის

გარდაცვალებას.

# სანდოა თუ არა წყალი?

(მეხუთე გვერდიდან)

„ხმაური ატყდა, რადგან მასიური ინტოქსიკაციის შემთხვევები იყო და ამან აჟიოტაჟი გამოიწვია დედოფლისწყაროში. პირველი დასკვნა მივიღეთ ივლისის თვეში, ამ დღეებში მოვიდა შემდეგი დასკვნაც. დასკვნაში საუბარია, რომ წყლის გადადუღების გარეშე სასმელად მიღება დაუშვებელია. ძირითადად ეშერიხია კოლი აღმოჩნდა, რომელიც იმ სიმპტომებს იწვევს, რაც ამ ადამიანებს აღმოაჩნდათ. მათი ნაწილი ინფექციურ საავადმყოფოში გაიგზავნა, ნაწილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში და იქ გადიან მკურნალობას. გუშინ მივიღეთ კიდევ ერთი, 20 წლის ბიჭი, რომელიც იგივე დიაგნოზით გაიგზავნა ინფექციურ საავადმყოფოში. როცა ასეთი მასიური შემთხვევებია ხოლმე, პირველ რიგში ეჭვი მიგვაქვს წყალზე. ამიტომაც ახლა ველოდებოდით წყლის ხარისხის კვლევის პასუხს. მიღებული დასკვნის შემდეგ სურსათის უვნებლობის სააგენტომ მიმართა კომპანიას, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. სასწრაფოდ უნდა მოხდეს რეზერვუარის წმენდა. ეს დასკვნა ეხება იმ წყაროებს, საიდანაც მარაგდება დედოფლისწყაროს ცენტრალური რეზერვუარი, ჩვენს რაიონში ხუთი ასეთი წერტილი არსებობს. ღონისძიებების დასრულების შემდეგ კიდევ შევამოწმებთ წყლის ხარისხს და თუ სხვადასხვა მაჩვენებლები ნორმაში იქნება და ვითარება გაუმჯობესდება, მაშინ უკვე მოსახლეობას მივაწვდით ინფორმაციას, რომ წყალი დასალევად უსაფრთხოა. ჩვენი სანიტარული ექიმი, რომელსაც წყლის კონტროლი ევალება, სისტემატიურად თანამშრომლობს წყალმომარაგების კომპანიასთან. თავად კომპანია ხშირად ატარებს საკუთარ კვლევებს და როდესაც ინფორმაციას ვთხოვთ, მუდმივად გვეუბნებიან, რომ ყველაფერი ნორმაშია, მაგრამ აი, ახლა მივიღეთ ასეთი დასკვნა...,“ – აღნიშნავს მარიეტა გონაშვილი.

დასკვნების შემდეგ წყალმომარაგების კომპანიას ზემდგომი უწყებებისგან მოკლევადიანი და გრძელვადიანი ღონისძიებების გატარება დაევალა, რომლებიც დასკვნას თან ახლავს. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ხაზს უსვამს, რომ ამ ღონისძიებების მიმდინარეობას თვალყურს მათი სპეციალისტებიც მიადევნებენ. თუმცა, მარიეტა გონაშვილი ამბობს, რომ ბოლო შემთხვევაში წყლის რეზერვუარის წმენდა ისე განხორციელდა, კომპანიას მათთვის არ უცნობებია და ავზის რეცხვა უჩვეულოდ მოკლე ვადებში დასრულდა, რის გამოც მათი კონტროლი ვერ განხორციელდა.

„გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ლაბორანტი **თამარ მჭედლიშვილი** გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ კომპანიამ მიღებული დასკვნების შემდეგ დამატებითი ღონისძიებები გაატარა და ამჯერად ე.წ. ონკანის წყლის სასმელად გამოყენება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა. მჭედლიშვილი ხაზს იმ გარემოებას უსვამს, რომ კვლევები ჩატარებულია დაუმუშავებელ, ე.წ. ნედლ წყალზე, სადაც ჩხირების აღმოჩენა მოხდა, თუმცა, რეზერვუარში წყალი უკვე დამუშავებულია და საგანგაშო მაჩვენებლები არ ფიქსირდება.

„ამჟამად ქლორის დოზა უკვე მომატებულია ცენტრალურ რეზერვუარში, ანუ გავზარდეთ დოზა დასაშვებ ნორმამდე. გამშვებ წყალში **არ აღმოჩენილა არც ეკოლის ჩხირი და საერთო კოლი ინდექსი დასაშვებ ნორმაშია, გამოვლენის შემთხვევაში დავკეტავთ და შესაბამის ზომებს მივიღებთ. თვეზე მეტია, ქლორის დოზა გავზარდეთ. ჩვენც ვატარებთ კვლევებს და საკუთარ მონაცემებზე დაყრდნობით გავზარდეთ ქლორის შემცველობა. ყოველდღიურად, მინიმუმ 3 ანალიზს ვაკეთებთ. უარყოფითი პასუხების შემთხვევაში ვკეტავთ რეზერვუარს და ვატარებთ შესაბამის ღონისძიებას,**



**ვიდრე არ მივალთ წყლის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობამდე. ამას ქლორის დოზის ზრდით ვაღწევთ-ხოლმე. ამ ეტაპზე წყალი აკმაყოფილებს რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმებს.** ნედლ წყალში შესაძლოა ეკოლის არსებობა. სადაც არ იქლორება, ანუ ნედლ წყლებში შესაძლოა აღმოჩნდეს სახიფათო მაჩვენებელი. ამიტომაც **ჩვენ გამოვაცხადეთ ნედლი, დაუმუშავებელი წყალი არ უნდა გამოიყენონ სასმელად. მაგრამ წყალი, რომელიც ჩვენი კომპანიისგან ონკანებზე მოგვეწოდება, უკვე სათანადოდაა დამუშავებული და შესაბამისი ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება. ზუსტი თარიღი არ მახსოვს, მაგრამ შემოდგომით გავრეცხეთ რეზერვუარი. საგაზაფხულო რეცხვა ვერ ჩავატარეთ წყლის სიმცირის გამო. შემოდგომით დებეტის მომატებისთანავე დაიგეგმება რეცხვები. არ ვართ ვალდებული, რეცხვის დროს ვინმე დავისწროთ, კანონით ასეა.... მაგრამ, თუ გამოჩნდა დასწრების მსურველი, ვისაც ჩვენი მუშაობის წარმოებაში ეჭვი ეპარება, საჯარო მოხელე იქნება, თუ ნებისმიერი ინდივიდი (ჩვენი მომხმარებელი) - მზად ვარ მე შევატყობინო რეცხვა-დეზინფექციის გრაფიკი და მსურველებს შეგიძლიათ დაგვესწროთ!“** – აღნიშნავს თამარ მჭედლიშვილი.

ასე რომ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, დაუმუშავებელია წყაროს წყლები, რეზერვუარში კი ქლორის დიდი დოზა ინფექციის საშიშროებას ხსნის.

**გაზეთი „შირაქი“ სურსათის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურში არკვევს, მოქალაქეთა მასობრივი მოწამვლის გამო დაჯარიმდა თუ არა რომელიმე კვების ობიექტი, ან რა საჯარიმო სანქციები, თუ პრევენციული ზომები გაატარა მაკონტროლებელმა უწყებამ ბოლო ხანს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. სურსათის სააგენტოდან ამ დრომდე პასუხი არ მიგვიღია. თუმცა, რამდენჯერმე სტუმრობისას ობიექტი, სადაც „საეჭვო“ ქელეხი შედგა, დაკეტილი დაგვხვდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, სავარაუდოდ, ინდივიდუალური მეწარმე** შალვა ბურდული **ფინანსურადაც დაჯარიმდა. დეტალურ ცნობებს „შირაქი“ სურსათის სააგენტოსგან მიღებისთანავე გაასაჯაროვებს.**

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

### გულნარა პოპიაშვილს!

### ნანა ჭიჭინაძეს!

გილოცავთ „დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭებას. თქვენ, თქვენი პროფესიონალიზმით, ცხოვრების წესით და ცხოვრების განვლილი გზით, მართლაც, გამორჩეული და მისაბაძი ადამიანები ხართ.

ქალბატონო გულიკო, თქვენი უძილო ღამეების ხარჯზე გადარჩენილი მრავალი სიცოცხლე, ჯანმრთელობის სადარაჯოზე ათეული წლობით თავდადებული შრომა, არაერთხელ დაფასდა სხვადასხვა ჯილდოს სახით, მაგრამ საპატიო მოქალაქეობა იმ საზოგადოების ხელდასმით, რომელშიც 80 წელზე მეტი იცხოვრეთ, ნამდვილად საპატიოა. კარგი შვილების, შვილიშვილების პატრონს დიდხანს სიცოცხლეს, კვლავაც მხნეობას და ბედნიერებას გისურვებთ.

ქალბატონო ნანა, თქვენი შემართება და აქტიურობა, თქვენი უანგარო, თავდადებული საქმიანობა კულტურულ ცხოვრებასა და წიგნიერების ამაღლებისთვის დასაფასებელია. „ღირსების ორდენის“ კავალერს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატს კიდევ ერთი ტიტული შეგემატათ, გერქვას „ საპატიო მოქალაქე“ დიდი დაფასება და მოვალეობაა. კვლავაც მრავალ ინიციატივას და საინტერესო ღონისძიებას ველოდებით. იყავით ბედნიერი შვილთან, შვილიშვილებთან და თქვენს უამრავ გულშემატკივართან ერთად.

კიდევ ერთხელ გილოცავთ!

**პატივისცემით,** ლალი ბოჭორიშვილი, ჯიმი, გია და ლია ალუღიშვილები ოჯახებით.

## მადლიერება

რამდენიმე თვის წინ, ჩემს შვილს-ზაზას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლისწყაროელმა ექიმებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს მის გადასარჩენად, მდგომარეობა იმდენად კრიზისული იყო, რომ საჭიროებდა თბილისში გადაყვანას. მოგეხსენებათ, საქართველოს დედაქალაქში მკურნალობას სერიოზული თანხები სჭირდება. ამისი საშუალება კი ჩვენს ოჯახს არ ჰქონდა. ამ მძიმე დროს გვერდში ამომიდგნენ მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და პარლამენტის წევრი ირაკლი შიოლაშვილი. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ თანადგომისთვის. განსაკუთრებული მადლიერება კი მინდა გამოვხატო ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიმართ, რომელმაც ფინანსური და მორალური მხარდაჭერა გამიწია. მათი დახმარებით ჩემს შვილს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

**პატივისცემით,** ლედი ჯანიაშვილი


## ვაკანსია

*გაზეთი „შირაქი“ იწყებს სტაჟირების პროგრამას კორესპონდენტებისთვის და ეძებს ახალგაზრდა, კომუნიკაბელურ, ენერგიულ, შედეგებზე ორიენტირებულ კანდიდატებს, დასაქმების პერსპექტივით.*

აუცილებელი მოთხოვნები:

- *უმაღლესი განათლება (სასურველია ჟურნალისტიკის განხრით);*
- *ქართული ენის სამეტყველო და ლიტერატურული ნორმების სრულყოფილად ცოდნა;*
- *სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებელი.*

*გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV თანდართული ფოტოსურათით მისამართზე: gazetishiraki@gmail.com , ან მობრძანდეთ გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის ქ. №18*

## იყიდება!

იყიდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა რუსთაველის ქუჩა №2, კორპუსი 32, ბინა 5 (სოკარის მოპირდაპირე მხარეს).

☎577 11 65 28

## ყურადღება!

იყიდება ან ქირავდება აწყობილი ბიზნესი კაფე-რესტორანი „დავითი“ დედოფლისწყარო, რუსთაველის ქ. №13. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ ნომერზე:

☎577-34-55-39

## ქირავდება!

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქუჩა №9-ში („დომ ბიტამდე“), მე-8 სართულზე ქირავდება ერთოთახიანი სუფთა ბინა, ფასი 450 ლარი (შეიძლება ფასზე მოლაპარაკება). მსურველები დაგვიკავშირდით:

☎599 85 58 32


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 20.08 | | სამშაბათი 21.08 | | ოთხშაბათი 22.08 | | ხუთშაბათი 23.08 | | პარასკევი 24.08 | | შაბათი 25.08 | | კვირა 26.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 19 ° | 18 ° | 20 ° | 19 ° | 22 ° | 20 ° | 22 ° | 21 ° | 23 ° | 22 ° | 24 ° | 22 ° | 25 ° | 24 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტი) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.